# სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით თფილისში | | გაუგზავნელად და გარეშე ადგილებში: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

ხელისმოწერა მიიღება.
თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე ხატისოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «Сельской Газеты», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოების და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ.) სტამბაში.

№ 26 შაბათი III 12 დეკემბერი, 1870 წ.

## ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება

თფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ.) სტამბაში, ხატისოვის სახლში, სერგიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქუთაისში — გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ დოდობერიძესთან, სიმკა ე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской и Сергіевской улицъ, д. Хатисова

## ხელმოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით. |
|---|---|---|
| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში — — — — — — — — — | 3 მან. — — | 4 მან. |
| ნახევარი წლისა — — — — — — — | 1 მ. 50 კ | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვეეით შემოგვითვალონ თვისი სახელი, გვარი და ადგილ-სადგომი.

## შინაარსი:

რედაქციისაგან — შინაური ამბები: საერო შკოლის გახსნა, ყვირილის სტანციაზე. — სამეურნეო ნაწილი: ჩეკალაშის გუთანი. — ეგვიპტის მეურნეობა. — ცხვრის შენების ისტორია. — რუსეთის ამბები: ხერსონისას გუბერნიის ერობის განკარგულება უმაღლესი სამეურნეო შკოლის გაღებაზე. — უცხო ქვეყნის ამბები. შვეიცის სამეურნეო საზოგადოებათა მოქმედება.

## შინაური ამბები

ამ ნოემბრის პირველს გაიხსნა სახალხო შკოლა ყვირილის სტანციაში. ეს სახალხო შკოლა გახსნა, თავის ხარჯით, ერთმა აქაურმა შორაპნელმა ბლაღოჩინმა მღვდელმა დავით დამბაშიძემ. იმას გაუკეთებია სახლი ყვირილის სტანციაში, რომელშიაც მოუწყვია ერთი ოთახი შკოლისათვის. პირველად, შკოლის გახსნაზედ, ბევრი არ იყო შაგირდების რიცხვი, მაგრამ ბოლოს, როდესაც გაიგო საზოგადოებამ, ძლიერ ბევრმა მოსწავლემ შეიყარა თავი. დღეს შაგირდების რიცხვი ორმოცდა თხუთმეტი არის და, როგორც ამბობენ, კიდევ მრავალნი არიან მსურველნი. ძლიერ გასაკვირველია, რატომ არ იყო აქამომდე შკოლა ყვირილის სტანციაში, სადაც მცხოვრებლები გვარიანათ ბევრნი არიან და ამასთან ყვირილის სტანციას, ანუ ზესტაფონისას, გარემო არტყია ძლიერ კარგი სოფლები. მე დავესწარი პირველად შკოლის გახსნაზე და ორი კვირის შემდეგ კიდევ მივედი შკოლაში, მინდოდა გამეგო, თუ როგორი მეთოდით ასწავლიდნენ შაგირდებს. წინათვე დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ იქნებოდა ხმარებული ადამის წლის მეთოდა, მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოთ, თურმე ძლიერ მოტყუებული ვიყავი ამისთანა აზრში. შკოლის გამხსნელი ხმარობს ახალ სწავლის მეთოდს. ძლიერ მომეწონა ისა, რომ პირველადვე მიუქცევია მას ყურადღება სამშობლო ენის სწავლაზედ. ანბანს ქართულად და რუსულად ასწავლის მოძრავი ანბანებით. სხვა ჯერეთ არ შემიძლიან გაცემა სიტყვისა რამე შაგირდების სწავლებაზედ და სწავლაზედ, ბოლოს, იმედი მაქვს, მოყვარეები «სასოფლო გაზეთის» მკითხველებს ამაზე, რადგან ეს საგანი, უმეტესი ნაწილის, საინტერესო უნდა იყოს საზოგადოებისათვის. როგორც გავიგე, ამ შკოლის გამხსნელი ძლიერ ბეჯითი და კიდეც უნდა, რომ

...ლების შკოლაც გახსნას ყვირილის სტანცი-
ა, თუ საზოგადოება ცოტა რამე შემწეობას
...ანც მისცემს მას.

«დროება» № 50

# ჩეკალინის გუთანი

ბევრია ისეთი სასოფლოსო იარაღები, რო-
მლებიც ევროპაში მოუგონიათ და იქ მეტად
მოსადეგია ოჯახობაში, მაგრამ სხვა ქვეყანა-
რომ გადაიტანო სახმარათ, მაშინვე აუტ-
ებიან მიწის მომუშაკენი, არა ეგ იარაღი
...ენი არ არის, მუშაობაში ვერ გამოვიყენებთო
...ის ხმარებაში დროც დაგვეკარგა და ფულე-
ბო. თუმც ამისთანა სჯაში ბევრი მართე-
ლია, მაგრამ არ შეგვიძლიან ჩვენც არ და-
ვეთანხმოთ საზოგადოთ ამგვარ მსჯელობას.

მართლაც ყოველი ახალი იარაღი უფრო იმ
ადგილის და მცხოვრების შესაფერისია, სადაც
მოუგონიათ, იქაურს მიწაწყალს, იქაურს მუშას
და იქაურს საზოგადო დაწყობილებას რაც არ
ადება, იმ ნაკლულევანებას მოცილებას ცდი-
ლობს კაცი თავის სამუშაო იარაღში და თან-
და-თან გაუმჯობესებულს იარაღს ნელ-ნელა ეჩვე-
ვა. მიწის მუშა თვითონაც ვერ ნიშნავს. ისე
...ავის ურებურათ ხმარობს ყოველ წლობით
და ათი წლობით გაუმჯობესებულს იარაღს.
...ვეში კი უცბათ მოიტანენ ამისთანა კარგს
იარაღს, რომლის მოწყობილობა სრულ. ა-
აც აზრში არ მოსდის მეოჯახეს და ეუბ-
ნებიან, იხმარეთო. აბა, როგორ უნდა იხმაროს?
ამას გარდა შეფერებული ადგილის მდებარეობა,
...ვითონ სამუშაო მიწების სხვანაირი მდგო-
მარეობა და თვისება, აგრეთვე მეტნაკლები
სიდიდე სამუშაო ალაგების სულ ეწინააღმდე-
გებიან ამისთანა კარგი იარაღის ხმარებაში შე-
მოტანას. მაგალ. თად, ვთქვათ ევროპიული გა-
უმჯობესებული გუთანი სულ ქვიშ-იან ალაგი-
სთვის მოუწყვიათ, ამას გარდა ვიწრო და მო-
კლე ალაგის დასამუშავებლათ. უეჭველია ამის-
თანა გუთანი რამდენათაც უფრო კარგათ-მო-
კარებულია ზემოხსენებული თვისების მიზ-
ეზისთვის, იმდენათ უფრო გამოუდეგარი ექ-
ნება შავი მძიმე მიწისთვის, რომელიც ყო-
ველთვის დიდ მანძილზე უნდა იხნას.

ან ავიღოთ გაუმჯობესებული გუთანი, რო-
მელიც მთიან ალაგისთვის მოუწყვიათ. რა-
საკვირველია, ის ბარში არ გამოდგება. ყველას
ემჯობინება ამ შემთხვევაში ის გუთანი, რო-
მელიც იმ გუთნების გვარათ არის გაკეთებუ-
ლი, რომელთაც ჩვენში ხმარობენ, მაგრამ ევ-
როპიული სასოფლო გუთნების მაგზავსებათ
მოშორებულია ალაგობრივ გუთნების ნაკ-
ლულევანებას. ამ აზრს დაადგა ერთი რუსის
მცოდნე კაცი და მართლაც ისეთი გუთანი გა-
აკეთა, რომ უცხო რამე იქნება ჩვენი ზემო
ქართლის ხოდაბუნებისთვის და მკირათაც არა
ღირს. ეგ გუთანი იყიდება სარატოვის გუბერ-
ნიაში და ადგილზე ღირს რვა მანეთად. წა-
ღება კი მყიდველის ხარჯზე იქნება.

ჩეკალინის აზრით თუ კაცს უნდა გაუმჯო-
ბესებული იარაღი შეიტანოს ხმარებაში, უსა-
ტუოთ უნდა ცდილობდეს, რომ იმის გაკე-
თებული იარაღი ერთობ არ უნდა ერჩეოდეს
არც ხმარებაში, არც გასწორებაზედ, თუ კინიცო-
ბაა გაუტყდა რამე; მეტი თუ არა, იმზე ნაკ-
ლები, რამდენსაც მველი გუთანი გააკეთებს,
არ უნდა გააკეთოს; ამასთანავე ფასითაც უფრო
მძვირა არ იყოს. თუ ასე არ იქნა, რაც კარგი
თვისება ჰქონდეს მიწის სამუშაო იარაღს, მაინც
არ გამოდგება, — არავინ იყიდის და მალე
გაფუჭდება. აი, ამისგამო, ჩეკალინმა ხელი
მიჰყო რუსული გუთნისავე გაუმჯობესობას. იმის
მოგონილი პატარა გუთანი ისე კარგი და მო-
ხერხებული გამოჩნდა, რომ იმ კუთხის სოფ-
ლებში ყველანი ხნენ ამისთანათი.

ანენკოვის სოფელში, სადაც ახალი გუთნით
ხნენ ჩეკალინი მართავს ერთი მებატონის მამულს
იქ ყველანი იმის გუთნით მუშაობენ. ვისაც სურს
ჩეკალინის გუთნის დაბარება, იმან ამ ადრე-
სით უნდა მიიწეროს: Въ Саратовскую Губернію
Кузнецкаго Уѣзда, въ С. Аннепково, Феодору Нико-
лаевичу Чекалину.

# ეგვიპტის მეურნეობა

ამ უკანასკნელს ჟამს ეგვიპტეში ხუთ მი-
ლიონ ნახევარი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა
იპოვება. ამ რიცხვში ნახევარი ეკუთვნის ვი-
ცე-კაროლს და იმის ნათესაობას; მომეტებუ-
ლი მიწებისა სულ შეუმუშავებელია, რადგან
მუშები მკირათ არიან. მიწის დაღა ანუ ქი-
რა ბევრგან სხვა-და-სხვა ნაირია; ეს უფრო
დამოკიდებულია მიწის თვისება[illegible] შორს
მდევს, თუ ახლოს მდინარესთან, ან ირწყვის
თუ არა. დაბლობ ეგვიპტეში, სადაც მალიან
ბევრი ბამბა მოჰყავთ, ერთი დესეტინის ქი-
რა წელიწადში ოცი თუმან ნახევარიც არის.
ზემოთ ეგვიპტეში კი, სადაც განსაკუთრებით
ხორბალი მოჰყავთ, ერთი დესეტინის ქირა
თუთხმეტს მანეთს არ აცილდება.

* * *

სასუქს არ ხმარობენ მიწისთვის, შლამს გარდა,
რომელსაც სტოვებს მდინარე ნილოსი მინდვრე-
ბზე, როცა დიდობის დროს ჯალებზე გადმო-
რდება ხოლმე. შემდეგ, როცა მდინარე ისევ
ჩავარდება თავის კალაპოტში, მაშინ ეს შლამი
მიაქვთ შორს ალაგებზე მოსაყრელათ. საგუბარე-
ბი არხები და სხვა მრავალ-გვარი მოწყობილობა
უშლის წყალს სოფლებისა და ქალაქების წარ-
ყვნას. წყალი თანასწორათ გადივლის მთელს
სახნავსათესს მინდვრებზე. როცა წყალი ჩავარ-
დება, ცოტას ხანს შემდეგ დაიწყებენ მიწის
შემუშავებას. მაგრამ მომეტებული სიცხისაგან
მიწა მალე ხმება და საჭიროა, რომ მუდამ
ირწყებოდეს სამუშაო მიწები; ამისთვის გაკე-
თებულია მიწის ქვეშ მილები, არხები და სხვა
მრავალნაირი წყლის გასაყვანი ჩარხები. ამ
ათის ლის წინათ ეგვიპტეში ერთი დიდათ
სასარგებლო საქმე გააკეთეს: მთავრობამ გა-
მართა დასაწრეტები და იმის წყალობით ამო-
აშრეს ერთი დიდი ტბა, რომლისგამო ეგ-
ვიპტეს შეემატა ორმოცი ათასი დესეტინა მე-
ტად ნაყოფიერი მიწა.

* * *

უმეტესი ნაწილი ეგვიპტისა უჭირავს არა-
ბის ტომის ხალხს, ისინი მალიან ჯაფის ამ-
ტანი კაცები არიან, ცოტას კმარობენ და გულ-
დადებით მუშაობენ მიწას. მაგრამ ფული სულ
არა აქვთ, და დიდ ოჯახობას ვერ ეკიდებიან.
ამისგამო ევროპიელები, განსაკუთრებით ფრან-
ცუზები, რომელთაც ფული ხელში აქვთ, შოუ-
ლობენ მალიან იაფ ფასათ სახნავს მიწებს და
არაბების მაგიერათ ისინი ისქელებენ ჯიბეს
შემოსავლით.

მიწის მეპატრონე არაბების მდგომარეობა
ბევრათ ჰგავს ჩვენი ქვეყნის მეოჯახეებს და

თუ რკინის გზა გაკეთდა, ადრე თუ გვიან ჩვენი მიწები სულ ფულიანს კაცებს ჩაუვარდებათ ხელში. ისინი ისარგებლებენ და ჩვენ კი მირდია დავრჩებით. ბევრიც რომ ვეცადოთ, შემდეგ ვერარას გავაწყობთ, ამისთვის, რომ ყოველ მოსაგებს საქმეს ფული უნდა და ჩვენ კი ეს მასალა ძალიან გვაკლია.

## ცხვრის შენების ისტორია

მეშვიდე საუკუნეში ერთმა სახელ განთქმულმა ესპანიის მაზრის კადიკსის მოქალაქემ კოლუმელამ გადმოიყვანა ჩრდილოეთის აფრიკიდგან რამდენიმე ცხვარი მოსაშენებლათ. მერე როდესაც ნახა, რომ ძალიან ივარგა, მთელი წმინდა მატყლოვანი ფარა გადმოიყვანა. მეთოთხმეტე საუკუნეში ესპანიის ხელმწიფემ დონპედრომ გადმოიყვანა აფრიკის ქალაქიდგან მაროკკოდგან ცხვრის ფარა, საშენებელი დედები და თავისი მფარველობით წაახალისა ცხვრის მაშენებელნი. ამ ცხვრებისგან წარმოსდგა მშვენიერი კასტილიის ცხვრის მოდგმა, რომელსაც ეძახიან მერინოსებს.

* *

ყველაზე უფრო მაგრები დაეხმარენ ცხვრის ჯიშის გაუმჯობესობას ესპანიაში. ბევრნი ამბობენ, რომ იმათ ძალიან ბევრი ცხვრები მოასხეს აფრიკიდგან და ალაგობრივ ესპანიის ცხვრის დართვით წარმოსდგა ახლანდელი სახელ განთქმული მერინოსის ცხვრის ჯიში.

*
* *

მერინოსების ჯიში ორგვარია: ერთი მუდამ ერთ ალაგს შენობს და მეორე გვარი მუდამ ალაგს იცვლის. რომელნიც ნიადაგ ერთ მხარეში ცხოვრობენ, თუმცა ძალიან კარგი თვისების არიან, მაგრამ ისე წმინდა მატყლი არა აქვსთ, როგორც მოგზაურ მერინოსებსა. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ცხვრებს იმდენათ სუფთა მოვლა არ უხდება, როგორც თავისუფლათ სხვა-და-სხვა მინდვრებზე ტარება. მგზავრი ცხვრები აპრილის დამდეგს დააგდებენ სამხრეთის ესპანიას და გარეკენ საზაფხულოთ ორმოცი დღის სავალზე ესტრემადურის მთებზე; სექტემბრის ბოლოს ისინი იმავე გზით მობრუნდებიან სამხრეთისკენ: ამ დროს განმავლობაში ისინი სიცხე წვიმაში სულ გარეთ არიან; მაგრამ მაინც არა უჭირთ რა. ჭავის ცვლილებას ძალიან კარგათ იტანენ. ცხვრის ფარებს ნიადაგ მარილს აჭმევენ და ეს ძალიან უხდება.

*
* *

მთელს ესპანიაში საუკეთესო ჯიშის ცხვრები არიან ესკურიალის მონასტრისა და გრაფის ნეგრეტტის ფარები. ნაპოლეონ პირველი, რომ ესპანიას დაეცა, მაშინ სრულებით დაიქცა ესკურიალის მონასტრის სიმდიდრე. აუარებელ ჯოგიდგან ოცი ათასი თავი ცხვრის მეტი კიდარ გადარჩენილა. გრაფის ნეგრეტტის ჯოგიც ძალიან შემცირდა, ისე, რომ დანარჩენი ნაწილი აფრიკაში გადასახლეს და იმით მორჩა სრულებით გაწყვეტას. ახლა ამ ცხვრების ფარები ნეგრეტტის მემკვიდრეებს ეკუთვნის. ამათ გარდა მრავალი სხვა ჯიშის მერინოსები არიან ესპანიაში, მაგრამ ყველას სჯობიან უწინდელი ესპანიის მონასტრის ინფანტადოს ფარები.

*
* *

ესპანიაში არასოდეს არ გაიყიდება გარეცხილი მატყლი. რაც ამ ჟამად წმინდა მატყლოვანი ცხვრების ჯიშია სხვა და სხვა სახელმწიფოში, ისინი ყველანი ესპანიიდგან გადაყვანილან. წარსულ საუკუნეშივე დარწმუნდენ, რომ ესპანიის ცხვრის ჯიშისთანა არსად არის, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ევროპაში იწყეს წმინდა მაუდის კეთება, ესპანიის ცხვრებს ძალიან დიდი ფასი დაედვა. ამასთანავე საკვირველი ეს არის, რომ ეს ნაზი ცხვარი ძალიან კარგათ იტანს ზომიერსა და ცივს ჰავას; ამისგამო ყოველი სახელმწიფო ცდილობს იქიდგან ჯოგების გამოყვანას. აქედგან თვითონ წარმოიდგენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ესპანიის ოჯახობის კეთილმდგომარეობისთვის, იმის სიმდიდრისთვის მერინოსების ჯოგებსა.

*
* *

ხანამდის ისპანიის ჯიშის ცხვარი გავრცელდებოდა, ყველაზე უფრო ნაქები ინგლისის ცხვრის ჯიში იყო მართლაც იმდროის ჯიშის ცხვრებს მატყლის სიწმინდავეთი [illegible] სჯობდა. ნამდვილათ იციან, რომ მეთუთხმეტე საუკუნეში ინგლისის კაროლმა ედუარდ მეხუთემ ისპანიიდგან გამოასხა სამასი თავი მერინოსებისა, რომ თავის სახელმწიფოს ჯიშის ცხვარი გაეუმჯობესებინა. შემდეგ მხნე და მშრომელმა ინგლისის კაროლევამ. ელისაბედმა, კიდევ უფრო ადამაღლა ინგლისის გვარის ცხვრები იმითი, რომ ისპანიის ზღვის გაჭრობა დასცა და მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ინგლისის ხალხს ჩაუვარდა ხელში მატყლის გაჭრობა. იმას არ უნდოდა გაეცხადებინა, რომ ისპანიის გვარის ცხვრით გაუკეთესდათ ინგლისის ჯიშის ცხვარი. ასე გაშინჯა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ყველას, ვინც კი გაბედავდა ინგლისიდგან ცხვრის გაყვანას და გაყიდვას სხვა სახელმწიფოში.

*
* *

მაგრამ ბოლოს ინგლისელებმა მატყლის გაუმჯობესობას ხორცის გაუმჯობესობა არჩიეს და იმათი მზრუნველობა მხოლოდ იმაზე იყო მიქცეული, რომ რაც შეიძლებოდა ცხვარს ბევრი ხორცი და ქონი მიეცა, ამისთვის ისპანიურს მატყლს უცხო ქვეყნის ბაზრებზე ყიდულობდენ. ინგლისის ლორდი სომერვილი სამართლიანათ უჩივის თავის თანა მემამულეებს, რომ ისპანიის მერინოსებით არ აუმჯობესებენ ინგლისის ცხვრის მატყლს ეს რომ მოეხდინათ ინგლისში ორმოცი მილიონი ცხვრისა: მატყლის გარეთ ყიდვა აღარ დაჭირდებოდა და ამგვარით შეგვეძლო მატყლით გაჭრობა მოგვესპო გარეშე სახელმწიფოებში.

*
* *

საზოგადოთ ისპანიის მერინოსებს ინგლისში ძალიან სუსტათ აშენებენ. ინგლისის კერძო ფარებში ყველაზე უფრო შესანიშნავია ბედფორდისა და ლორდის სომმერვილის ჯიშისა. იმათი ფარები ძალიან საქები გახდენ, მაგრამ რადგან იმ დროს ინგლისისა და საფრანგეთ შუა ომიანობა იყო, ძალიან დაუშალა ამ ფარებში ისპანიის მერინოსების გამრავლება.

## რუსეთის ამბები

ხერსონის გუბერნიის ერობამ მოიწონა აზრი სამეურნეო შკოლის გადებას შესახებ ქ. ნიკოლაევში. დაწვრილებით ამ აზრის გამოტანილია, თუ როგორ, ან რა წესით უნდა გაიმართოს შკოლა, ქვემო ყველაფერი ცალკე გამოსახული უნდა მოიხსენიოს; უმთავრესი იმის პირობები აი ესენი არიან.

1 რადგან ოდესის უნივერსიტეტში ბუნების მეცნიერება მალიან კრძალვით, დაწვრილებით უნდა ასწავლონ და ამასთანავე სამეურნეო მეცნიერებას ც დიდს ყურად ღებას მიაქცევენ, ისე რომ ოდესის უნივერსიტეტი დიდ გამოიყვანებენ მიწის მუშაობის კარგი მცოდნენი, ამისთვის ხერსონის სასწავლებელი უნდა იყოს განსაკუთრებით გამოჩენილი მიწის მუშაობაში და ამასთანავე იმდენსაც უნდა სწავლობდნენ, რამდენსაც საშუალო სასწავლებელთა შეგირდები.

2 სასწავლებელი უნდა გაიმართოს ნიკოლაევის ქალაქში აი რა მიზეზით: ა, თუმცა მიწა უნაყოფოა, მაგრამ ჩვენ ამდენით ვიცით, რომ საოჯახო ცხოველ მცენარეების შენება მალიან კარგათ მოხერხდება ცხოვრება სხვა ახალ ქალაქებზე უფრო იაფათ ჯდება; ბ. ქ. ნიკოლაევში რომ ასწავლებლები არიან, უფრო მცირე გასით ისესხებენ ზემოხსენებულს სამეურნეო სასწავლებელში სწავლებას, სამეურნეო მასწავლებელს შეუძლიან თავის საკუთარ საკვირველისთვის იარაღები იშოვნოს სამოხელო შკოლიდგან, ან ცები დეპნაზიიდგან, ან რომ პოლიტეხნიკურს შკოლას გაადებენ იქიდგან, ტეხნიკურ საზოგადოებიდგან და საადმირალო მეხომიდგან; და რადგან ქალაქ ნიკოლაევს დიდი ვაჭრობა აქვს და პორტიცა, ამისთვის აქ ყმაწვილები საოჯახო ვაჭრობასა, ადვილათ შეიძლებიან; გ. თუ ხაზინამ ან ქალაქმა უფულოთ არ დაუთმო შკოლას სამუშაო მიწა, აქ უფრო იაფათ შეიძლება იყიდოს, ვინამც სხვა ალაგებზე; დ, თვითონ ქალაქში და იმის მახლობლათ არიან შკოლისთვის მოხერხებული სახლები, რომელნიც მეტად არ დაჯდებიან, ვინიცობაა შკოლისთვის დასჭირდეთ ერთ ალაგას მოგროვება იმისთანა სასწავლებლების, როგორც სამოქალაქო სასწავლებლის პოლიტეხნიკური შკოლისა, ტეხნიკური საზოგადოების განყოფილებისა და ამ სამეურნეო შკოლისა მეტი არ შეიძლება ისე სასარგებლო იქნება. იმათ შაგირდებს ერთიანეთიკე გაკლენა აქ ებათ და თვითონ სასწავლებლებიც ერთმანეთს დაეხმარებიან. ზ, აგრეთვე სასურველია, რომ სამეურნეო შკოლის ფერმა ანუ სამუშაო მიწა ქალაქის მახლობლათ იყოს. ამ შემთხვევაში სასწავლებლები უნდა გაიმართონ თვითონ ქალაქში, ყმაწვილები ზაფხულს ფერმაზე იცხოვრებენ და ზამთარს ქალაქში.—

ვ. მუდამ სასწავლებელში მდგომ ყმაწვილების გარდა, შინიდგან მოსიარულენიც უნდა იყონ. სამაგალითო გამოანგარიშებით ამ სასწავლებელზე უნდა იხარჯებოდეს წელიწადში; სამოცი ყმაწვილის რჩენა — ათათი ყმაწვილი თითო უფასოდ-გან-ექვსასი თუმანი; სახლის ქირა სანიშნელი და შემა ყმაწვილების ტანისამოსი და სამოს ავლო ნივთების ყიდვა-სული ცხრა ასი თუმანი; საოჯახო იავნი ას ორმოცდა ათი თუმანი; შინჯვა სხვა და სხვა შესამეცნებელ საქმეების მოითხოვს ოცდა ათ თუმანს,-მინაურ გაფუჭებულ ნივთების გასწორება სასწავლებელში ყოველ წლობით მოითხოვს თუთხმეტ თუმანს. სულ მთელი ხარჯი გამოვიდა ათას ექვსას ოთხმოცდა თუთხმეტი თუმანი.

## უცხო ქვეყნის ამბები

ერთს ნემეცურს გაზეთში დაწერილია შვედის სამეურნეო საზოგადოებათა და მაღალ სასწავლებლების ამბავი, რომელსაც მოკლეთ დავბეჭდავთ ჩვენს ,,სასოფლო გაზეთში.“ რადგან მეტად საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველებისათვის. შვედები კარგათ გრძნობენ, რომ ამ ორმოცდა ათის წლის განმავლობაში იმათ მალიან ბევრ ქვეყნის გამადიდებელს ცოდნას და მოხელეობას თვალყური არ ადევნეს და ამით ქვეყანა უკანდაიწია ამ გარემოებამ აიძულებინა უკანასკნელს ჟამს შვედს კეთილ გონიერ გვამს ერთობრივ მოეკიდნათ ხელი ქვეყნის სასარგებლო საქმეებისთვის და სახელმწიფო წინ წასწიათ.

ყოველ შვეციის მაზრაში ისეთი სამეურნეო საზოგადოებაა გამართული, რომ ვერც დაწყობილებით და ვერც მოქმედებით იმათ ვერ შეედრება ვერც ერთი პრუსიის სამეურნეო საზოგადოება ყოველი შვედური სამეურნეო საზოგადოება საკვირველად მოხერხებულათ და თავიანობით მოქმედობს. ყოველ საზოგადოებას კარგა მალი ფული აქვს სამუშავებლათ ხარჯს არ მოერიდებიან, თუ კი რამე გამოსადეგი საქმე დაინახეს ამას გარდა რომ სამეურნეო გამოფენებს აყობენ და მართვენ სამეურნეო აკადემიებს, ისინი თვითონაც ცდილობენ კარგათ მიწის მოვლას და კარგს ოჯახობას.

* * *

მაგალითად თუ უნდათ მშვენიერი ბაღები გაიმართოს ყოველგან და მიეცეს ერს იმისგან კარგი შემოსავალი. ისინი მაშინვე გაგზავნიან სხვა-და სხვა მაზრებში და სოფლებში ინჟინერ-მებაღეებს საქმის დასწყებათ და ჯამაგირს თვითონ სამეურნეო საზოგადოება აძლევს ზოგიერთნი საზოგადოებანი მალიან მოინდომებულნი არიან, რომ რიგიანი და ნამდვილ წესზე მოახერხდეს ტყეების მოვლა და გაშენება. უნდა მოგახსენოთ, რომ ტყეები მალიან ცუდს მდგომარეობაში არიან შვეციაში. რაც მველი ტყე იყო სულ ერთიანათ თავის უცოდინარობით მოუკაფავთ იქაურს სოფლის ხალხს და ტყის პატრონებს არც იმდენი მხნეობა აქვთ, არც შეძლება, რომ ხელმეორეთ შემოსავან ხეებით თავის მოტიტვლებული გორები. ამას ისეც უნდა დაუმატოთ, რომ იქაურ სოფლელებს ძველიდგანვე სჩვევიათ, საცა არ გინდათ, უთავბოლოთ მოკვებ ნახირისა, რომელიც ახალ ამოსულს ტყის უმოწყალოთ აფუჭებს აი ამისთანა დამღუპ ჩვეულობა ყოველ ღონისძიებით სდევნიან ზემოხსენებულნი საზოგადოებანი. ისინი მთელს მიწის ნაჭრებს, რომელთაც კი მოუხვეწიათ გადაკეთება იდებენ ხოლმე სამუშაოთ და ოცი წლის შემდეგ როცა დამუშავებული მამული, როგორიც რიგია, ისეთ მდგომარეობაში, მოავა უბრუნებენ თავის პატრონებს. სამაგიეროთ უნიდელი გახრეკილი მიწის პატრონი არას აძლევს, გარდა იმისა რომ უნდა ჩასწეროს გამულის სიის წიგნში; პარობას კისრე გაკეთებული და გაკეთებული ცუდი მოვლით და უზრუნველობით არ გააფუჭოვო.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Декабря 1870 г. დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი